ხელშეკრულება N 202/4

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თბილისი **22 იანვარი, 2019 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ „ქალაქ თბილისიის N202 საჯარო სკოლა“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დროებით მ/შემსრულებლის თამარ ხვედელიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,რიო“, (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის მარიამ ელბაქიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და სახემწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2019წლის 18 იანვრის N317 განკარგულება SMP190000274 საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებობით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი:

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ „ქალაქ თბილისიის N202 საჯარო სკოლის“ მიერ სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვა

CPV 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 285.65 (ორასოთხმოცდახუთი ლარი და 65 თეთრი) ლარს.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 ხელშეკრულების საგანის საერთო ღირებულება საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადებისა და მოსაკრებლების ჩათვლით.

2.3 შესაძენი საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობაა:

N	პროდუქტების დასახელება	CPV	განზომილება	სულ რაოდენობა	ფასი	სულ თანხა
1	პური 1 ხარისხი	**CPV 15811100**	კგ	48,00	1,50	72
2	პური ჭვავის	**CPV 15811100**	კგ	40,00	2	80
3	პური ლავაში	**CPV 15811100**	კგ	2,00	1,50	3
4	მაკარონი	**CPV 15850000**	კგ	5,00	1,60	8
5	ვერმიშელი	**CPV 15850000**	კგ	2,00	1,60	3,2
6	შაქარი	**CPV 15831000**	კგ	7,00	1,70	11,9
7	ჩაი ხილი	**CPV15863000**	კგ	0,500	45	22,5
8	კაკაო	**CPV15841000**	კგ	0,500	12	6
9	საწებელი	**CPV 15893300**	კგ	1,00	5,70	5,7
10	საფუარი	**CPV 15898000**	კგ	0,100	12	1,2
11	სანელებელი(პიტნა)	**CPV15870000**	კგ	0,200	7	1,4
12	ყავა	**CPV 15861000**	კგ	0,200	80	16
13	მწვანილი (ქინძი, ნიახური,ოხრახუში, კამა)	**CPV 15872000**	კგ	6,00	5	30
14	საფანელი	**CPV 15821100**	კგ	1,00	3	3
15	ნახმი(ბუბლიკი)	**CPV 15821200**	კგ	1,00	3,50	3,5

საქართველო, თბილისი, 0103, გუთნის ქ.N6

tbilisi202@mes.gov.ge

16	ნამცხვარი შვრიის	**CPV 15821200**	კგ	1,500	5	7,5
17	თაფლაკვერა	**CPV 15821200**	კგ	2,500	3,40	8,5
18	ორცხობილა თეთრი	**CPV 15821150**	კგ	0,500	4,50	2,25
	სულ					**285.65**

2.4 ხელსეკრულებას თან ერთვის პროდუქციის ჩამონათვალი მახასიათებლებით **(დანართი 1)**

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2 მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარისსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4 ანგარიშსწორება განხორციედება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 საბანკო სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4.საქონლის მიწოდების ხარისხი, ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხარისხიან პროდუქციაზე.

4.2 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2019 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

4.3 საქონლის მოწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა სკოლა-პანსიონი) (მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის **5.3** პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3(სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

6.3 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამოვერ ასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარე პასუხისმგებელია და ვალდებულებები განახლდეს ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულებაში პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარენებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, მეორე - შემსყიდველთან

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა ს/კ: 206091398 მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6 დირექტორის დროებით მ/შემსრულებელი თამარ ხვედელიძე	„მიმწოდებელი“ შპს „რიო“ ს/კ 406125296 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE40TB7445236080100006 დირექტორი მარიამ ელბაქიძე

ხელშ. N 202/4 დანართი
1

პროდუქციის ჩამონათვალი მახასიათებლებით

N	პროდუქტების დასახელება	მახასიათებლები	CPV	განზომილება	სულ რაოდენობა	ფასი	სულ
1	პური 1 ხარისხი	–ქარხნული წარმოების, დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, წებოვნება (წებოგვარა) შემცველობა არანაკლებ 25 %, ტენიანობა არაუმეტეს 40–45%, მჟავიანობა – 2,5-4%, ფორიანობა 65%. ფერი, სუნი და გემოს მახასიათებელი წარმოდგენილი ნიმუშისათვის, არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ ქიმიურ ელემენტებს, მოუზელავ ნაწილაკებს და გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს, შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს. სურსათის უვნებლობა, ხარისხი, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. პური დაჭრილი თანაბარი ზომის და წონის ნაჭრებად, (სასურველია აგურის ფორმის) შეფუთული ბუნებრივი და ეკოლოგიურად სუფთა მასალის ქაღალდში. ეტიკეტირება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N441 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე მოთხოვნებს. –მიწოდება განხორციელდეს გამოცხობიდან 4-6 სთ–ის შემდეგ.	158	კგ	48.00	1.5	

2	პური ჭვავის	ჭვავის ან რუხი, დაჭრილი 50 გრამიან ნაჭრებად	158	კგ	40.00	2	[illegible]
3	პური ლავაში	თეთრი, პირველი ხარისხის	158	კგ	2.00	1.5	
4	მაკარონი	– თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს ხორბლის უმაღლესი ხარი სხის ფქვილისაგან დამზადებული, არასამარხვო შემადგენლობის, ზედაპირი გლუვი, არ ჰქონდეს არავითარი ჩანართი და წერტილი. მაკარონის ნაწარმის ტენიანობა 13%. მდგრადი, ხარშვისას ადვილად არ კარგავდეს ფორმას. ფერი – ერთგვაროვანი	158	კგ	5.00	1.6	
5	ვერმიშელი	– თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს ხორბლის უმაღლესი ხარი სხის ფქვილისაგან დამზადებული, არასამარხვო შემადგენლობის, ზედაპირი გლუვი, არ ჰქონდეს არავითარი ჩანართი და წერტილი. მაკარონის ნაწარმის ტენიანობა 13%. მდგრადი, ხარშვისას ადვილად არ კარგავდეს ფორმას. ფერი –	158	კგ	2.00	1.6	3
6	შაქარი	–თეთრი ფერის, მშრალი, კრისტალური, ფხვიერი, სუფთა. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	158	კგ	7.00	1.7	1

7	ჩაი ხილი	– მინარევების, უცხო სუნის, ობისა და ნესტის გარეშე. ჰერმეტულად შეფუთული პაკეტებში. ადგილობრივი წარმოების. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	158	კგ	0.50	45	2
8	კაკაო	"უმაღლესი ხარისხის, მშრალი, ფხვიერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშისთვის. დაფასოებული უნდა იყოს ქარხნულად წყალგაუმტარ პოლიეთილენის არაუმეტეს 5 კგ.-იან პარკებში. ეტიკეტზემითითებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და ვარგისიანობის ვადა."	158	კგ	0.50	12	
9	საწებელი	"შეფუთული ქარხნულად 0.5-15 კგ. ვარგისიანობის ვადის მითითებით. არ უნდა ჰქონდეს ობის გემო და სუნი; გემო მახასიათებელი გარკვეული ნიმუშისთვის."	158	კგ	1.00	5.7	5
10	საფუარი	–კულინარიული დანიშნულების, პურის ცხობისთვის გამოსაყენებელი, ფხვიერ მდგომარეობაში. სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს.	158	კგ	0.10	12	1
11	სანელებელი(პიტნა)	"უნდა იყოს დაფქული, არ უნდა იყოს ნესტიანი, ფერი, გემო და სუნი უნდა ქონდეს დამახასიათებელი გარკვეული ნიმუშითვის."	158	კგ	0.20	7	1
12	ყავა	"უმაღლესი ხარისხის, მშრალი, ფხვიერი, სუნი და გემო დამახასიათებელი გარკვეული	158	კგ	0.20	80	

13	მწვანილი (ქინძი, ნიახური,ოხრა ხუშიკამა)	–თითოეული მოწოდებული პარტია უნდა იყოს მშრალი, მწვანე შეფერილობის, საღი, სუფთა, ფესვების და ბაქტერიოლოგიური დაზიანებების გარეშე. კონკრეტული ჯიშისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სურნელებით. დაფასოებული მუყაოს ყუთებში. მიწის შემცველობის გარეშე. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. მომწოდებელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ წარმოადგინოს ლაბორატორიული გამოცდის ოქმები პესტიციდების შემცველობაზე.	158	კგ	6.00	5	
14	საფანელი	უნდა იყოს საღი, მშრალი, არ უნდა იყოს ნესტიანი	158	კგ	1.00	3	
15	ნახმი(ბუბლიკი)	უნდა იყოს თითო 50 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	158	კგ	1.00	3.5	3
16	ნამცხვარი შვრიის	უნდა იყოს თითო 40 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	158	კგ	1.50	5	7
17	თაფლაკვერა	უნდა იყოს თითო 50 გრამიანი, დამზადებული უნდა იყოს ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილით	158	კგ	2.50	3.4	8

18	ორცხობილა თეთრი	–ახალი, ქარხნულის წარმოების, საბავშვო, უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული, კრემის, ჯემისა და კონცენტრატების გარეშე. ნატურალურის იდენტური არომატიზატორით. არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისათვის საშიშ და აკრძალულ საკვებდანამატებს. ერთი ცალის წონა 25-35 გრ. მექანიკური დაზიანების გარეშე. სათანადოდ შეფუთული. –სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	158	კგ	0.50	4.5	2
	სულ						**28**

„შემსყიდველი“
სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა
ს/კ: 206091398
მისამართი: ქ. თბილისი, გუთნის ქ. #6

დირექტორის მ/შემსრულებელი
თამარ ხვედელიძე

„მიმწოდებელი“
შპს ,,რიო“
ს/კ 406125296
სს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE40TB7445236080100006
დირექტორი
მარიამ ელბაქიძე